შპს მართვისა და კომუნიკაციის
საერთაშორისო სასწავლო
უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი"

მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა

ქ.თბილისი 2023 წელი

ALTERBRIDGE
მართვისა და კომუნიკაციის
საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი

ALTERBRIJI
მართვისა და კომუნიკაციის
საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი

ალტერბრიჯის შესახებ

მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“ ახალი ალტერნატიული სივრცეა ქართულ საგანმანათლებლო ბაზარზე, რომელიც წარმოადგენს ხიდს განათლებიდან დასაქმებამდე და კარიერულ წინსვლამდე. სახელწოდება, როგორც ფუნქციური დატვირთვის სიტყვათა შეთანხმება, გამომდინარეობს სასწავლო უნივერსიტეტის მისიიდან და გრძელვადიანი ხედვიდან.

ალტერბრიჯი 2018 წელს დაარსდა საკონსულტაციო-სატრენინგო ცენტრ ,,PR აკადემიის” მიერ, რომლის 7 წლიანი წარმატების ისტორია უკავშირდება ზოგადი მენეჯმენტის, სტრატეგიული კომუნიკაციის, ორგანიზაციული კვლევების, ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით კორპორაციული/ ინდივიდუალური ტრენინგებისა და სასწავლო პროგრამების განხორციელებას, მენტორინგისა და საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფას.

ალტერბრიჯი ეს არის მოტივირებულ ადამიანთა ერთობლიობა, რომელმაც იცის როგორ მიაღწიოს მიზანს და როგორ დამუხტოს სხვები თვითრეალიზებისთვის. ასე შეიქმნა დასაქმებასა და განვითარებაზე ორიენტირებული განათლების გამორჩეული კერა, რომელიც საქართველოში პირველი ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა უპირობო 7 წლიანი ავტორიზაციით. მის ერთ-ერთ კონკურენტულ უპირატესობას წარმოადგენს დამფუძნებლისა და მმართველი გუნდის მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება, რეპუტაცია და მაღალი ცნობადობა საზოგადოებასთან ურთიერთობის დარგში და ზოგადად, კომუნიკაციის სფეროში.

ალტერბრიჯის ახალ აშენებული თანამედროვე დიზაინის შენობა განთავსებულია ეკოლოგიურად სუფთა გარემოში, აღჭურვილია საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისი ინფრასტრუქტურით, რაც უზრუნველყოფს ხელსაყრელ პირობებს ინოვაციური მიდგომებით სწავლების, სამეცნიერო-შემოქმედებითი კვლევისა და პიროვნული თუ პროფესიული ზრდა-განვითარებისათვის.



ალტერბრიჯის რექტორის მიმართვა

"განმანათლებლობა არის ადამიანის გამოსვლა იმ უმწიფრობიდან, რომელიც მისივე ბრალია" - კანტი ამ სიტყვებში უმწიფრობას უწოდებს ადამიანის ნებას იცხოვროს და იყოს მართული სხვისი აზრებით, ხოლო განმანათლებლობას კი ძალას, გაბედო გქონდეს საკუთარი განსჯის უნარი...

დღეს, როდესაც ალტერბრიჯის კარებს ვაღებ, მე ვხედავ შედეგს... შედეგების ერთობლიობას და თითოეული მათგანი ჩემთვის სწორედ ამ სიტყვებთან ასოცირდება -განმანათლებლობა, სიმამაცის აქტი, გაბედო იაზროვნო, გაბედო იმოქმედო და გაბედო გჯეროდეს საკუთარი მიზნების...

ჩვენი ყველა შედეგი ნაბიჯით იწყება და სწორედ ამ ნაბიჯის გადადგმაა ყველაზე რთული. თუმცა, ვერასოდეს გაიგებ რა მოხდებოდა თუ არ სცადე.. და ამიტომაც ჯობს იმოქმედო, რადგან უმოქმედობა სიცარიელეაა, მოქმედებას კი ყოველთვის მოაქვს შედეგი...

ახლა, როდესაც უკან ვიხედები, ვხვდები, რომ ყველაფერი სწორედ იმ ნაბიჯების დამსახურებაა,რომლებიც გავბედე და გადავდგი...

როდესაც გავბედე და ერთ ოთახში, ერთი ტრენინგით დავიწყე საქმე, რომელიც მიყვარს... როცა ის გუნდი შემოვიკრიბე, რომლებმაც ჩემსავით გაბედეს და დაიჯერეს, რომ ცხოვრებაში არაფერია იმაზე ძვირფასი, ვიდრე დაეხმარო ადამიანებს საკუთარი თავის პოვნაში ... როცა ერთად გავბედეთ და არასოდეს დავნებდით სირთულეებს, რომლებიც ყველა ჯერზე გადაგვეღობა...
როცა ვაჩვენეთ ადამიანებს, რომ ცვლილებები იწყება მათით და მერე თავად მივეცით მაგალითი, რადგან თავად გავბედეთ ყველაზე დიდი ცვლილება ...

ᲐᲯᲐᲠᲘᲡᲮᲘᲜᲯᲘ
მართვისა და კომუნიკაციის
საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი

პროგრამის ხელმძღვანელი

თამთა ჰაგერ

მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი

მასკომუნიკაციის სფეროში 12 წლიანი გამოცდილებით.სხვადასხვა დროს მუშაობდა როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ორგანიზაციებში ჟურნალისტად; კომუნიკაციის სპეციალისტად; საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელად.
არის ტრენერი და კონსულტანტი. მედიის, კრიზისულ სიტუაციებში კომუნიკაციის და დროის მენეჯმენტის მიმართულებით ჩატარებული აქვს 300-ზე მეტი ტრენინგი საქართველოსა და ევროპაში. ევროკავშირის დაფინანსებული ,,ERASMUS +'' -ის მოკლევადიანი პროგრამების/ტრენინგების/პროექტების მონაწილე/ ტრენერი იყო თურქეთში, აზერბაიჯანში, უკრაინაში, ,სომხეთში, უნგრეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, ჩეხეთში, პოლონეთში, გერმანიაში, ლიტვაში, ლატვიაში, კვიპროსში, ირლანდიაში.
გავლილი აქვს პოსტდამის (გერმანია) უნივერსიტეტის სთორითელინგის ონლიან კურსი და ჰიუსტონის(აშშ) უნივერსიტეტის ციფრული სწავლების მეთოდების ონლაინ კურსი.ფლობს ინგლისურ,რუსულ და ჩეხურ ენებს. გამოქვეყნებული აქვს 4 სამეცნიერო სტატია. მონაწილეობა აქვს მიღებული ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში.

თამთა ჰაგერ

ADZEIBIJI
მართვისა და კომუნიკაციის
საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი

პროგრამის ხელმძღვანელი

მაკო ჯაოშვილი

დოქტორი, პოზიტიური ფსიქოკონსულტანტი

მაკო ჯაოშვილი

პოზიტიური ფსიქოკონსულტანტი, PR ასოციაციის დამფუძნებელი/პრეზიდენტი, საკონსულტაციო კომპანია "სევენთის" დამფუძნებელი და დირექტორი. აქვს დარგის მიმართულებით, წამყვან კომპანიებში ხელმძღვანელ პოზიციებზე მუშაობის 25 წლიანი გამოცდილება.

ღონისძიების ორგანიზების პროფესიული სტანდარტის, მოდულური პროგრამის და გზამკვლევის ავტორი, ტრენერი და კონსულტანტი 15 წლიანი გამოცდილებით. საგრანტო/სატენდერო პროექტების გამარჯვებული სატრენინგო-საკონსულტაციო მომსახურებისთვის USAID, UNICEF, GIZ.

2015-2020 წლებში იყო მოწვეული ლექტორი ადგილობრივ და საერთაშორისო უნივერსიტეტებში. არის 72 სამაგისტრო ნაშრომის მენტორი და თემის ხელმძღვანელი. გამოქვეყნებული აქვს საზოგადოებრივ ურთიერთობებისა და მართვის საკითხებზე 7 სტატია. მონაწილეობა აქვს მიღებული ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში.

არის სხვადასხვა აქტუალურ თემაზე სიმპოზიუმების/ კონფერენციების და დისკუსიების მოდერატორი /ფასილიტატორი. გამოქვეყნებული აქვს სამოტივაციო შინაარსის სტატიები სხვადასხვა ჟურნალებში, მათ შორის "ფორბს ვუმენ." 2010 წელს ჰქონდა საავტორო გადაცემა რადიო-ქალაქის ეთერში "წარმატების ფორმულა მაკო ჯაოშვილთან ერთად".

2020-2022 წლებში - საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს შესარჩევი კომისიის წევრი და სხდომის მდივანი. 2021 წელი - რადიო უცნობის ეთერში რუბრიკის "ალტერშესაძლებლობი" ავტორი/წამყვანი, 2022 წელს გამოსცა ავტობრიოგრაფიული შინაარსის სამოტივაციო წიგნი "ცხოვრება, როგორც პერფორმანსი".

ᲐᲠᲯᲔᲮᲑᲘᲜᲯᲘ

ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ
ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲮᲝᲠᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ

ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲘ

თამთა ჰაგერ
აფილირებული ასისტენტ-პროფესორი

მაკო ჯაოშვილი
აფილირებული პროფესორი

ნათია გოცაძე
აფილირებული პროფესორი

ნათია კენჭიაშვილი
ასისტენტ-პროფესორი

თეა ლათიფაშვილი
ასოცირებული პროფესორი

ოლღა ცისკარიშვილი-სოსელია
ასოცირებული პროფესორი

ქეთევან ცაცანაშვილი
აფილირებული ასოცირებული
პროფესორი

დავით მაღლაფერიძე
ასოცირებული პროფესორი

ქეთევან გოგოძე
ასისტენტ-პროფესორი

პროგრამის განმახორციელებელი გუნდი

მასობრივი კომუნიკაციის აკადემიური პერსონალი

ირმა მესირიძე
პროფესორი

მარიამ ადამაშვილი
ასოცირებული პროფესორი

ალექსანდრე გაბუნია
აფილირებული/ასოცირებული
პროფესორი

ნინო წითლანაძე
აფილირებული ასოცირებული
პროფესორი

ქეთი შენგელია
ასისტენტ-პროფესორი

თამარ ნარინდოშვილი
ასოცირებული პროფესორი

ვაჟა დანელია
აფილირებული პროფესორი

ნათია ვაჩეიშვილი
აფილირებული/ასოცირებული
პროფესორი

ᲐᲠᲬᲔᲮᲑᲘᲯᲘ

მართვისა და კომუნიკაციის
საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი

პროგრამის განმახორციელებელი გუნდი

მასობრივი კომუნიკაციის მოწვეული პერსონალი

ვასილ ჯანიკაშვილი
მოწვეული სპეციალისტი

მარინე ლომიძე
მოწვეული სპეციალისტი

რუსუდან სტრელკოვა
მოწვეული სპეციალისტი

ნინო გიორგაძე
მოწვეული სპეციალისტი

გიორგი კენჭუაშვილი
მოწვეული სპეციალისტი

სერგი ჯორბენაძე
მოწვეული სპეციალისტი



ლიანა მარქარიანი
მოწვეული სპეციალისტი

ანა მენაღარიშვილი
მოწვეული სპეციალისტი

ერეკლე მაღლაკელიძე
მოწვეული სპეციალისტი

ᲐᲯᲐᲠᲘᲡᲮᲘᲜᲯᲘ

მართვისა და კომუნიკაციის
საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი

პროგრამის განმახორციელებელი გუნდი

მასობრივი კომუნიკაციის მოწვეული პერსონალი

სოფო მგალობლიშვილი
მოწვეული სპეციალისტი

დიანა ვაშაყმაძე
მოწვეული სპეციალისტი

სოფიკო ქვარცხავა
მოწვეული სპეციალისტი

ხათუნა იოსავა
მოწვეული სპეციალისტი

მაკა ლომიძე
მოწვეული სპეციალისტი

გიორგი კალატოზიშვილი
მოწვეული სპეციალისტი

გიორგი დიდიძე
მოწვეული სპეციალისტი

ნინო ნატროშვილი
მოწვეული სპეციალისტი

გიორგი მერაბიშვილი
მოწვეული სპეციალისტი

პროგრამის განმახორციელებელი გუნდი

მასობრივი კომუნიკაციის მოწვეული პერსონალი

მარი ლოსაბერიძე
მოწვეული სპეციალისტი

ირმა ნოზაძე
მოწვეული სპეციალისტი

მაკა კაჭარავა
მოწვეული სპეციალისტი

ᲐᲯᲐᲠᲘᲡᲮᲘᲜᲯᲘ

ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ
ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ	ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲙᲐᲚᲐᲕᲠᲝ ᲞᲠᲝᲗᲒᲠᲐᲛᲐ
ᲛᲘᲡᲐᲜᲘᲭᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ	ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲑᲐᲙᲐᲚᲐᲕᲠᲘ
ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲘ	ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲘ (ᲑᲐᲙᲐᲚᲐᲕᲠᲘᲐᲢᲘ)
ᲞᲠᲝᲗᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲐ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲔᲑᲨᲘ	**240 ECTS** ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ
ᲞᲠᲝᲗᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐ	>ᲡᲣᲚ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ: > **ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲡ ᲡᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ - 135 ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ** > **ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲘᲗᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ - 40 ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ** > **ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲝᲜᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ** (ᲖᲝ�გᲐᲓ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲣᲚᲘ ᲣᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲝ ᲙᲝᲛᲞᲝᲜᲔᲜᲢᲘ)-ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ) - **42 ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ** >[1]**ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲔᲑᲘ - 23 ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ**
ᲞᲠᲝᲗᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ	**ᲗᲐᲛᲗᲐ ᲰᲐᲒᲔᲠ, PHD., ᲐᲤᲘᲚᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲡᲘᲡᲢᲔᲜᲢᲘ-ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ** **ᲛᲐᲙᲝ ᲯᲐᲝᲨᲕᲘᲚᲘ, PHD., ᲐᲤᲘᲚᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ**
ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲜᲐ	ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲐ
ᲓᲐᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ�პᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ	ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲙᲐᲚᲐᲕᲠᲝ ᲡᲐ�გᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐᲖᲔ ᲓᲐᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ�პᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲪᲔᲓᲣᲠᲔᲑᲘ ᲨᲔᲔᲡᲐᲑᲐᲛᲔᲑᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ, ᲒᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲛᲐᲠᲔ�გᲣᲚᲘᲠᲔᲑᲔᲚ ᲬᲔᲡᲨᲘ, ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲕᲔᲑᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲡᲐᲑᲐᲙᲐᲚᲐᲕᲠᲝ ᲡᲐ�გᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐᲖᲔ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲖᲝ�გᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲞᲘᲠᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ (ᲐᲢᲔᲡᲢᲐᲢᲘ) ᲐᲜ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲗᲐᲜᲐᲑᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ, ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲔᲑᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲕᲚᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚ ᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ.

[1]ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲘᲠᲩᲘᲝᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲑᲐᲙᲐᲚᲐᲕᲠᲝ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲓᲐᲜ. ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲙᲣᲠᲡᲘ ᲬᲘᲜᲐ�პᲘᲝᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲗ.

ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე

ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დასაშვებია:

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთკრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა

გლობალურ ჭრილში მასობრივი კომუნიკაცია ასოცირდება თანამედროვეობის ახლებურ ხედვასა და პროგრესთან.ერთ-ერთი ყველაზე ზუსტი და დახვეწილი განმარტებით მასობრივი კომუნიკაცია გულისხმობს შეტყობინების შექმნის, შერჩევის, გადაცემის, მიღებისა და უკუკავშირის მრავალმხრივ სისტემას. ინტერდისციპლინურ ფორმატში დარგი სრულად მოიცავს მომიჯნავე სპეციალობებს და შესაბამისად, მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრის კვალიფიკაცია ფართო პროფილით დასაქმების შესაძლებლობას იძლევა.

მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრს, რომელიც კარგად ერკვევა მიზნობრივი აუდიტორიის სპეციფიკაში შეუძლია ინფორმაციის მოპოვება,დამუშავება და გავრცელება ეთიკური პრინციპების დაცვით; კონკრეტული შეტყობინებების შექმნა და გადაცემა სათანადოდ შერჩეული საკომუნიკაციო არხების გამოყენებით და კომუნიკაციის პრიცესების წარმართვა დასახული ამოცანებიდან გამომდინარე.

კვალიფიკაციის მინიჭება ხდება ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსების გავლისა და საბაკალავრო ნაშრომის შესრულების საფუძველზე

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები

შესძინოს კურსდამთავრებულს მასობრივი კომუნიკაციის ძირითადი ელემენტების, ფუნქციების, პროცესის სოციალურ-კულტურულად და ტექნოლოგიურად განპირობებული აკადემიური ცოდნა

გამოუმუშავოს თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით სარგებლობის უნარ-ჩვევები შეტყობინების შექმნა-გავრცელებისათვის

ჩამოუყალიბოს არგუმენტირებული მსჯელობისა და კრიტიკული აზროვნების უნარი

განუვითაროს პასუხისმგებლიანობა და პროფესიული ეთიკის დაცვის უნარი საქმიანობის განსახორციელებისას

მისცეს სწავლისა და პროფესიული საჭიროებების დამოუკიდებლად განსაზღვრის შესაძლებლობა.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული:

აცნობიერებს მასობრივი კომუნიკაციის მრავალმხრივი სისტემის არსს დემოკრატიული პროცესების განვითარებისათვის

აღწერს მასობრივი კომუნიკაციის თეორიებს, განვითარების ეტაპებსა და თანამედროვე ტენდენციებს.

უნარები

არჩევს კომუნიკაციის სათანადო ფორმას მიზნობრივი სეგმენტისთვის

ამოწმებს სხვადასხვა წყაროდან მოძიებული ინფორმაციის სანდოობას

დამოუკიდებლად ქმნის / არედაქტირებს შეტყობინებას მიზნისა და აუდიტორიის შესაბამისად

ავრცელებს კონკრეტულ შეტყობინებას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით

მსჯელობს არგუმენტირებულად ზეპირი /წერილობითი კომუნიკაციისას

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

საქმიანობის წარმართვისას **მოქმედებს** ეთიკის პრინციპების დაცვითა და პირადი პასუხისმგებლობის გამოვლენით.

დამოუკიდებლად განსაზღვრავს სწავლისა და განვითარების საჭიროებებს

დასაქმების სფერო

საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილებით დღევანდელი შრომის ბაზარი ითხოვს მასობრივი კომუნიკაციის სპეციალისტს საზოგადოებასთან ურთიერთობის ან სარეკლამო სააგენტოებში, მარკეტინგული კომუნიკაციის და/ან ბიზნეს კონსალტინგის კომპანიებში, ბეჭდურ და ციფრულ მედია გამომცემლობებში, ტელე-რადიო მაუწყებლობაში, არასამთავრობო, საჯარო თუ კერძო სექტორის ორგანიზაციებში დასაქმებისათვის.

სწავლა-სწავლების მეთოდები

მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში ძირითადად გამოყენებულია სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, ელექტრონული რესურსით სწავლება

სწავლება-სწავლის პროცესში, პროგრამის კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებით, ასევე გამოიყენებული იქნება ცოდნის გადაცემის ისეთი მეთოდები, როგორიცაა:

მასკომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში ძირითადად გამოყენებულია სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები:
სემინარი;
სამუშაო ჯგუფში მუშაობა;
პრაქტიკული მუშაობა;
ინდივიდუალური მუშაობა;
ელექტრონული რესურსით სწავლება;
ინტერაქტიური მეთოდი;
და სხვა;

სწავლება-სწავლის პროცესში, პროგრამის კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებით, ასევე გამოიყენება ცოდნის გადაცემის ისეთი მეთოდები, როგორიცაა:

სწავლების მეთოდები

სწავლება კეთებით (LEARNING BY DOING) - სტუდენტს პრაქტიკულ ჩვევებს უყალიბებს და საშუალებას აძლევს განივითაროს სტრატეგიული დაგეგმვის უნარი, გუნდური მუშაობა

ახსნა-განმარტებითი მეთოდი - მსჯელობა მოცემული საკითხის გარშემო კონკრეტული მაგალითის ღრმა და საფუძვლიანი შესწავლით დაკვირვებისა და ანალიზის უნარების გაუმჯობესება

დისკუსია / დებატებში მონაწილეობა - კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარზე ორიენტირებული მეთოდი, რომლითაც ასევე ვლინდება ემოციების მართვის უნარი.

გამოცდილებითი სწავლება - აუდიტორიის მიღმა სხვა და სხვა აქტივობებში ჩართვით პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენა, დაკვირვებისა და უშუალო გაკეთების პროცესების მეშვეობით.

გონებრივი იერიში(BRAIN STORMING) - კონკრეტული საკითხის გარშემო კრიტიკული, ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებების მოსმენა, იდეების გაცხრილვა, კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დადგენა და შერჩეული შეხედულებების შეფასება წინასწარ ჩამოყალიბებული კრიტერიუმებით .

დემონსტრირების მეთოდი - ინფორმაციის ვიზუალურად წარდგენა, რომლის დროსაც ადვილად ხდება სასწავლი მასალის აღქმა, საკითხის/პრობლემის არსის წარმოჩენა და მის გარშემო მსჯელობა აუდიო და ვიზუალური საშუალებების გამოყენებით.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება - მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია, რაც ხელს უწყობს შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში რეალიზების უნარის განვითარებას.

წყვილში მუშაობა ქოუჩინგის პრინციპით - მოიცავს კონკრეტული საკითხის გარშემო სწორი კითხვების დასმით გადაწყვეტილების მიღებას. სტუდენტები პრაქტიკულად გაივარჯიშებენ კითხვების დასმას, მოსმენის უნარს, პასუხისმგებლობას გადაწყვეტილებაზე.

წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის მეთოდი - დამატებითი მასალის მოძიება და სიღრმისეული დამუშავება, საინტერესო ინფორმაციაზე ჩანაწერების გაკეთება.

წერითი მუშაობის მეთოდი - რამდენიმე აქტივობის შერწყმა მიღებული ინფორმაციის დაკონსპექტებით, თეზისების შედგენით, რეფერატის ან ესსეს შესრულება.

სწავლების მეთოდები

შემთხვევის ანალიზი (CASE STUDY); - კონკრეტული შემთხვევების განხილვა საკითხის დეტალური შესწავლის მიზნით, პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებით კონკრეტული საკითხის საფუძვლიანი შესწავლა.

ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი: ახალი მასალის გადაცემა ზეპირსიტყვიერად, თხრობითი სახით, რომლის დროსაც კომპლექსურად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი თემატიკის შინაარსიდან გამომდინარე.

ჯგუფური (COLLABORATIVE) მუშაობა: – ამ აქტივობის გამოყენებით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

როლური და სიტუაციური თამაშები: წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე, როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია; - პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება , თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად , კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი შესაძლებელია წარედგინოს ფართო აუდიტორიას.

დიალოგი სოკრატეს მეთოდით;- საგნის არსზე წვდომა მოკლე კითხვებითა და პასუხებით.

ევრისტიკული მეთოდი გულისხმობს პრობლემის/ამოცანის პირობების ანალიზს, ძირითადი პრობლემის კერძო ასპექტებად დაყოფას, მათ შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა-შეფასებას, პრობლემის გადაწყვეტის ჰიპოთეზის ჩამოყალიბებასა და გადაჭრის თანმიმდევრული ეტაპების დადგენას;

სწავლების მეთოდები

კონტინუუმი (მჭიდროდ დაკავშირებული მოვლენების ერთობლიობა):

ინდუქციური მეთოდი - განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

დედუქციური მეთოდი - განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხის დეტალური გაშუქება.

სინთეზის მეთოდი გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის, დანახვის უნარის განვითარებას.

თანამშრომლობითი (COOPERATIVE) სწავლება –სწავლების იმგვარი სტრატეგიაა, როდესაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

სიმულაცია გულისხმობს ხელოვნური სიტუაციის შექმნას, რომელიც რეალობის მსგავსია. სიმულაცია არის რეალობის გათამაშება.

კოლაბორაციული სწავლება გულისხმობს ორი ან მეტი სტუდენტის ერთობლივ მოღვაწეობას საერთო მიზნის მისაღწევად. კოლაბორაციული სწავლების დროს ხდება ცოდნის გაცვლა, სწავლა და თანამშრომლობა. ამ დროს შედეგები გაცილებით თვალსაჩინოა, რადგანაც ყოველ მონაწილეს თავისი წვლილი შეაქვს წარმატებაში და სწავლობს სხვა მონაწილის მაგალითზე.

სასწავლო პროცესის ორგანიზება

ორგანიზება: მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 ECTS, რომელიც გადანაწილებულია 4 აკადემიური წლის 8 სემესტრის განმავლობაში. ყოველ სემესტრში სტუდენტი საშუალოდ აგროვებს 30 კრედიტს. მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამაზე სასწავლო პროცესი განხორციელდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და უნივერსიტეტის რექტორის მიერ დამტკიცებული აკადემიური კალენდარის შესაბამისად. საგანმანთლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი ამზადებს საბაკალავრო ნაშრომს და გადის პრაქტიკას, რომელიც ხორციელდება პრაქტიკის სილაბუსისა და საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქციის შესაბამისად.

სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების შეფასების სისტემა ეყრდნობა კანონმდებლობით აღიარებულ სისტემას და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ შეფასებისა და კრედიტის მინიჭების სტანდარტებს.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი– შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი– მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი– მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი– მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი– მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

სასწავლო პროცესის ორგანიზება

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) **(FX) ვერ ჩააბარა**– მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) **(F) ჩაიჭრა**– მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

გ) შუალედური და დასკვნითი შეფასების თითოეული კომპონენტი ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას.

დ)ერთ-ერთი უარყოფით შეფასების: (**FX) ვერ ჩააბარა** -ს მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების გადანაწილება და კომპონენტები განისაზღვრება კურსის ლექტორის მიერ საკუთარი შეხედულებებისა და კურსის საჭიროებიდან გამომდინარე. სტანდარტულად, შუალედური და დასკვნითი შეფასებების ხვედრითი წილი შეიძლება იყოს 70/30 ან 60/40.

დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა შუალედური შეფასებებით კომპეტენციის ზღვარის დაძლევა. შუალედური შეფასების კომპეტენციის ზღვარი შეადგენს შუალედური შეფასებისთვის განსაზღვრული ქულების ჯამის 30%-ს. კრედიტის მინიჭების წინაპირობაა 100-დან არანაკლებ 51 ქულის დაგროვება და შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა.

შეფასების კომპონენტები სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შეფასების გამჭვირვალე კომპონენტები და კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ. სასწავლო უნივერსიტეტში არსებული შეფასების კრიტერიუმები და კომპონენტები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და ის მრავალკომპონენტიანია.

შეფასების ფორმები და კრიტერიუმები დეტალურადაა გაწერილი სასწავლო კურსების/კომპონენტების სილაბუსებში. მინიმალური კომპეტენციის ზღვრები ლექტორის აკადემიური თავისუფლების ფარგლებში გაწერილია სასწავლო კურსების/კომპონენტების სილაბუსში.

ალტერბიჯი
მართვისა და კომუნიკაციის
საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი

მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა

მარიამ დარბაიძე
ხარისხის უზრუნველყოფის სამსხურის უფროსი

მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების და შეფასების განხორციელების პროცესში. ხარისხის შეფასების შედეგებს იყენებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. პროგრამაში ჩართული პერსონალი პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს ხარისხის შეფას

ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარებისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებით და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებით. იზიარებს ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს და რეკომენდაციებს (ESG) ხარისხის უზრუნველყოფისთვის.

მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართულია როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი;

მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს - „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“. სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დოკუმენტი: „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც ეფუძნება ბოლონიის პროცესის დოკუმენტებს, დუბლინის დისკრიპტორს, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორს, საქართველოს კანონს უმაღლესი განათლების შესახებ კანონქვემდებარე აქტებს. აღნიშნული დოკუმენტი არის ერთგვარი სახელმძღვანელო, თუ როგორ ხდება სასწავლო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფა. საჭიროებისამებრ, ელექტრონული/დისტანციურად განხორციელებული სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, ალტერბიჯი უზრუნველყოფს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ადაპტირებას და მათ სათანადო დანერგვას.

პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსები/პირობები:

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ასევე სათანადო კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

პროფესიულ პრაქტიკას და სასწავლო კურსებში განსაზღვრულ პრაქტიკულ კომპონენტებს სტუდენტი გაივლის მემორანდუმით გათვალისწინებული ობიექტების ბაზაზე.

აუდიტორიები;

ბიბლიოთეკა (ბაზები: CAMBRIDGE JOURNALS ONLINE (HTTPS://WWW.CABRIDGE .ORG/CORE); E-DUKE JOURNALS SCHOLARLY COLLECTION(HTTPS://READ.DUKEUPRESS. EDU/);

EDWARD ELGAR PUBLISHING JOURNALS AND DEVELOPMENT STUDIES E-BOOKS (HTTPS://WWW.ELGARONLINE.COM/); IMECHE JOURNALS (HTTPS://UK.SAGE-PUB.COM/EN-GB/EUR/IMECHE);

OPENEDITION JOURNALS (HTTPS://WWW.OPENEDITION.ORG/); ROYAL SOCIETY JOURNALS COLLECTION(HTTPS://ROYALSOCIETY.ORG/JOURNALS/);

SAGE JOURNALS(HTTPS://JOURNALS.SAGEPUB.COM);

SAGE APCS FOR OPEN ACCESS JOURNALS (HTTPS://UK.SAGE-PUB.COM/EN-GB/EUR/PURE-GOLD-OPEN-ACCESS-JOURNALS-AT-SAGE);

სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა INI.GE
მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსების პრაქტიკული ნაწილი ხორციელდება უნივერსიტეტის ბაზაზე მოწყობილ მულტიმედია ცენტრში,რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო პროგრამული და ტექნიკური ინვენტარით.ლექტორებისა და სტუდენტების ჩართულობით იქმნება
ვიდეოლექციები და პერიოდულად ვრცელდება სასწავლო უნივერსიტეტის ვებ გვერდზე, სოციალურ გვერდებსა და სხვა არხებზე. ამჟამად ფუნქციონირებს:
იუთუბზე-ალტერ TV;
ვებზე- ალტერფოტო;
ვებზე-ალტერბლოგი;
ვებზე-ალტერპოდკასტი.

აჯაჰბრიჯი
მართვისა და კომუნიკაციის
საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი

ფოტო გალერეა





ალტერბრიჯი
მართვისა და კომუნიკაციის
საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი

ალტერბრიჯის კამპუსის 3D ვიდეო ტური

ისარგებლე ციფრული სამყაროს განუსაზღვრელი შესაძლებლობებით. შემოიხედე იქ, სადად ყველაზე განსხვებული გარემო გელის.



იმოგზაურე ალტერბრიჯის ალტერ სივრცეებში, გახსენი ყველა მინიშნება წაიკითხე ყველა სიტყვა,
მიყევი თითოეულ ბმულს და გაიგე რა არის ალტერბრიჯის გზავნილი შენთან!

ალტერბრიჯი

მართვისა და კომუნიკაციის
საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი

GOOGLE MAPS



ALTERBRIDGE UNIVERSITY • უნივერსიტეტი ალტერბრიჯი

ქ. თბილისი, ბაგები, წყნეთის გზატკეცილი # 67

INFO@ALTERBRIDGE.EDU.GE

558 198 198

WWW.ALTERBRIDGE.EDU.GE